ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 3342496

გაცემის თარიღი: 23/06/2017 გაცნობის თარიღი: 18/02/2018

განცხადების ნომერი: AR1514849

შემოსვლის თარიღი: 16/06/2017

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.05.008.279
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაია , N 30
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 18765.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "განათლების განვითარების ჯგუფი" (404940695)

ნომენკლატურა :

- **მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა**
- **III კლასი**
- **დემონტაჟი**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი მელაძე პ/ნ 01007008494
- მისამართი: თბილისი დავით ბაქრაძის ქ. N 4 ბ. 10

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "განათლების განვითარების ჯგუფი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404940695
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი მელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01007008494

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 18765.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 515.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1500.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1050.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 450.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ბრძანება

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაია #30, შპს ,,განათლების განვითარების ჯგუფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი N 01.14.05.008.279) არსებული შენობა–ნაგებობების (შენობა:#1/3; #3/1; 4/1; 5/1; 6/1) დემონტაჟის პროექტი.

2. გაიცეს დემონტაჟის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს სანებართვო მოწმობა.

3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს: 2017 წლის 23 ივნისიდან 2017 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით.

4. დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისიწნებული მოთხოვნები.

5. დამკვეთი ვალდებულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი და შემდეგი დოკუმენტაცია, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით:

5.1. საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის 57–ე დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად.

5.2 დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლეთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ.

თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01172511959**

თარიღი: **08.09.2017**

ადრესატი:
შპს განათლების განვითარების ჯგუფი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404940695
მისამართი: ნუცუბიძის 1 მ/რ, ბედიას ქუჩა #33, (ნიუტონის თავისუფალი სკოლის შენობა)

თქვენი 2017 წლის 19 ივნისის #10/01171703755-18 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ (ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. #30-ში საკ/კოდ 01.14.05.008.279) სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას, ტექნიკური ხარვეზის არსებობის გამო დამატებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება, შესწავლილი იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, მათ შორის ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"-ს მიერ გაცემულ დასკვნაში (#02-25/155-02 09.06.17) მითითებული მწვანე ნარგავების მდგომარეობა, რის შედეგადაც მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის, 26-ე მუხლის I პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების, ასევე 26^1-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გასცეს ნებართვა 3 ძირი ხმობადი კაკლის (დიამეტრით #22-20სმ, #37-39სმ, #38-36სმ) 1 ძირი ხმობადი კავკასიური ცაცხვის (დიამეტრი #106- 8სმ) 1 ძირი ხმობადი თეთრი თუთის (დიამეტრი #195-48სმ) 6 ძირი საღი კაკლის (დიამეტრი #4-28სმ-26წ, #59-23სმ-25წ, #75-23სმ-26წ, #86-24სმ-25წ, #92-26სმ-26წ, #93-25სმ-25წ) 1 ძირი საღი ძეძვის (ბუჩქი, #153-დიამეტრი 1,0-2,0სმ) 2 ძირი საღი ხეშავის (დიამეტრი #194-9,0-10,0სმ, #211-ბუჩქი) 1 ძირი საღი ნაზი თელას (დიამეტრი #206-16,5სმ) 1 ძირი საღი სირვაშლას (ბუჩქი-#212) 1 ძირი საღი ცხენისწაბლის (დიამეტრი #278-36სმ) ხის მოჭრის, ხოლო 7 ძირი კაკლის-#1,51,54,76,118,280,282, 1 ძირი გრაკლას ბუჩქის-#21, 2 ძირი თეთრი თუთის-#56,99, 2 ძირი ჩვ. იფნის-#57,98, 6 ძირი ჩვ. იასამნის-#62,66,85,107,123,281, 1 ძირი თეთრი ცრუაკაციას-#96, 1 ძირი ჩვ. კვიდოს-#193, და 62 ძირი აღმოსავლეთის ბიოტას-#215-#238-მდე, #240-#277-მდე გადარგვის თაობაზე მას შემდეგ, რაც თქვენს მიერ წარმოდგენილი იქნება სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვა, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების-აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის შემდეგ და მითითებული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 5 ძირი, მინიმუმ 2.0 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგის დარგვა.

საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში, რის თაობაზეც სრულყოფილი ინფორმაცია მითითებული უნდა იქნას თქვენს მიერ წარმოსადგენ ხელშეკრულებაში.

საკომპენსაციო რგვა/გადარგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. #30-ში საკ/კოდ 01.14.05.008.279) არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით (საკ/ტელ 599 88 15 86).

მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით, აღნიშნულ პერიოდში მცენარეების ხმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ საკომპენსაციო რგვის განხორციელება.

ხოლო, რაც შეეხება ტერიტორიაზე არსებულ ხილ-კენკროვან მცენარეებს (183 ძირი) საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი